MES 8 20 00439100

05/06/2020

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:**

**1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **დავით მალაზონია -** შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნატალია შანიძე -** შპს „ათასწლეულის სკოლის“ მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი, მათემატიკის მასწავლებელი - საბჭოს მდივანი;
3. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე;
4. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
5. **ირმა ბარბაქაძე -** შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
6. **ავთანდილ აბდუშელიშვილი -** შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი;
7. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;
8. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის - თბილისის“ აკადემიური დირექტორი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნინო ჟვანია** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

**თამარ რატიანიძე -** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;

**3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესი
დირექტორი - ნინო ჩიკვაშვილი
ხარისხის მართვის მენეჯერი- ნატალია ბარათელი

**4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):**

**შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესი**

ნანა ედიშერაშვილი
ნინო მუმლაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდება ონლაინ რეჟიმში.
სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom - ის საშუალებით) 2020 წლის 21 მაისს 16:00 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**
1. შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

ამის შემდეგ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარდგენილი, ამიტომ დამტკიცდა არსებული დღის წესრიგი.

**1.შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;**
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა ედიშერაშვილმა და ნინო მუმლაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.
1.1. ექსპერტის განცხადებით, შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებას. სკოლის მისია შესაბამისობაში იყო ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. ექსპერტის თქმით, სკოლის სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.
ექსპერტ ნანა ედიშერაშვილის განცხადებით, შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი ახორციელებდა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამას, შესაბამისად სასკოლო გეგმაში წარმოდგენილი იყო IX და XI კლასებში გაკვეთილების ჩატარების განრიგი.
ექსპერტის განმარტებით, სკოლა-კოლეჯ პროგრესის მიერ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი იყო სკოლის საათობრივი ბადე და საათობრივი დატვირთვის სქემა, სადაც აღმოჩნდა გარკვეული ტექნიკური ხარვეზები. ექსპერტის თქმით, სკოლამ ვიზიტისას ადგილზე წარადგინა გასწორებული დოკუმენტები, რაც დანართის სახით თანდართული იყო დასკვნაზე.
ექსპერტის განცხადებით, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შემთხვევაში (მაგ., ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება, გაკვეთილების დაწყვილება მიზნებიდან გამომდინარე), სკოლა უფლებამოსილი იყო, სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის გარეშე შეეცვალა სასკოლო საათობრივი ბადით გათვალისწინებული გაკვეთილების განრიგი კონკრეტული დღის/დღეების განმავლობაში, თუ ეს ცვლილება არ გამოიწვევდა თითოეული საგნისათვის სასკოლო სასწავლო გეგმით დათმობილი საათების წლიური ჯამური რაოდენობის ცვლილებას.
ექსპერტის განმარტებით, შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი 2019-2020 სასწავლო წელს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით განაყოფებს ქმნიდა დონეების მიხედვით შემდეგ საგნებსა და კლასებში: პირველ უცხოურ (ინგლისური) ენაში: მე-10, მე-11 და მე-12 კლასებში; მეორე უცხოურ ენაში: მე-8ᵃ გერმანული/ესპანური, მე-8ᵇ (გერმანული/ესპანური), მე-9ა (გერმანული/ესპანური), მე-9ბ (გერმანული/ესპანური), მე-10ა (გერმანული/ესპანური), მე10ა (გერმანული/ესპანური), მე-11 (გერმანული/ესპანური) კლასებში.
ექსპერტის განცხადებით, ინგლისური ენის გაძლიერებულად სწავლების მიზნები გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან. საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა უნდა შესძლებოდათ ევროსაბჭოს მიერ განსაზღვრული ენის ფლობის B1და B2 (ზღვრული განვითარებული) დონის დაძლევა და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის (PET, TOEFL, IELTS, FCE) მოპოვება. ექსპერტის თქმით, 2019 წელს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა კოლეჯი პროგრესი ამერიკულმა სააკრედიტაციო სააგენტომ “AdvancED“ მიანიჭა აკრედიტაცია. ექსპერტის განმარტებით, სკოლის მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა ქართულ ატესტატთან ერთად მოეპოვებინათ ამერიკული საშუალო სკოლის დიპლომი.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში გაძლიერებულად ისწავლებოდა ინგლისური ენა და საგნის სწავლების საათობრივი ბადე განსხვავდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი საათობრივი ბადისგან. ექსპერტ ნანა ედიშერაშვილის განმარტებით, მოსწავლეები ინგლისური ენის სწავლას იწყებდნენ პირველი კლასიდან კვირაში 2 საათით, მეორე-მესამე კლასებში- 3-3 სთ, მეოთხე-მეექვსე კლასებში კვირაში 4 სთ, საბაზო, საშუალო საფეხურზე საათობრივი დატვირთვა წარმოდგენილი იყო 5 საათით კვირაში.
ექსპერტის განცხადებით, 2019-2020 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა უფასო წრეებს: ლიდერობა, განათლების ტექნოლოგიები - დამოუკიდებელი სწავლება, ეკონომიკა, ასტრონომიის კლუბი, გახანგრძლივებული.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას მიმართა კითხვით რა ღონისძიებებს ატარებდა სკოლა საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში, როგორ ხდებოდა სასკოლო სასწავლო გეგმის რეალიზება.
დაწესებულების განმარტებით, სკოლა ითვალისწინებდა იმ რეკომენდაციებს, რომელიც იყო გაცემული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით მოსწავლეთა შეფასება ხდებოდა პროექტებით და პრეზენტაციებით.
საბჭოს წევრმა ქალბატონმა მაკა მამფორია დაწესებულებას მიმართა კითხვით, რომელი მოდელი ჰქონდა არჩეული სკოლას შეფასებისას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა მეორე მოდელის შესახებ, რომელიც გულისხმობდა პირველი სემესტრის ქულას, შემდეგ გავლილი 6 კვირის ქულას და დისტანციური სწავლების ქულას, რომლითაც ფასდებოდნენ მოსწავლეები.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.
16:40 წუთზე საბჭოს წევრმა არჩილ სუმბაძემ საბჭოს სხდომა დატოვა, საპატიო მიზეზის გამო.
1.2. ექსპერტ ნინო მუმლაძეს განცხადებით, მატერიალური მიმართულებით დაწესებულება ყველა სტანდარტს აკმაყოფილებდა. ექსპერტის განმარტებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია სამედიცინო კაბინეტთან დაკავშირებით, რომელიც მეორე სართულზე იყო განთავსებული. მისივე განცხადებით, სასურველი იყო სამედიცინო კაბინეტი ყოფილიყო პირველ სართულზე, სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის მიზნით.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.
1.3. ექსპერტ ნანა ედიშერაშვილის განცხადებით სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი და სრულად აკმაყოფილებდა მოთხოვნილ სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა იმ დროისთვის სკოლაში და რამდენით უნდოდათ კონტიგენტის გაზრდა?
სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულებას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა, ავტორიზაციის მიხედვით განსაზღვრული ჰქონდა 200 -ით.
დაწესებულების დირექტორმა თხოვნით მიმართა საბჭოს წევრებს, რომ კიდევ 300 მოსწავლით გაეზარდათ კონტიგენტი, გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის თითო საკლასო ოთახი 25 ბავშვის ხარისხიან სწავლებას უზრუნველყოფდა.
საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა, ადასტურებდნენ თუ არა, რომ სკოლა შეძლებდა აღნიშნულ პირობებში მოსწავლისთვის სრულფასოვანი მომსახურების გაწევას, ექსპერტებმა განაცხადეს, რომ სკოლას შეეძლო ზემოთ ხსენებულ პირობებში სწავლების განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა ხომ არ ჰქონდათ კითხვები შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესისათვის. საბჭოს წევრებმა განაცხადეს რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მეშვიდე პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესს (ს/კ:405119394) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განესაზღვროს 500-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შედეგად სხდომა 17:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შანიძე ნატალია